

HydroPlast® N

ბეტონის ჰიდროფობული დანამატი

პროდუქტის აღწერა

HydroPlast N მოდიფიცირებული ლიგნოსულფონატის ბაზაზე დამზადებული ქიმიური დანამატია, რომელიც ამცირებს ბეტონის ზედაპირის შთანთქმადობას და წყალგამტარობას. HydroPlast N ზრდის ახლად ჩასხმული ბეტონის დენადობას.

გამოყენება

HydroPlast N-ის გამოყენება რეკომენდებულია შემდეგი შემთხვევებისა და მიზნებისთვის:

- დაბალი წნევის ან უწნევო წყლის შეღწევადობის შემცირება;
- საცურაო აუზის, ღია არხის და გვირაბის სეგმენტის მშენებლობები;
- ბეტონები, რომლებიც განკუთვნილია წყალწმენდის სადგურების, კაშხლების; წყალგამტარი მილებისა და წყალსაცავებისთვის;
- კაპილარული შეწოვის გზით წყალშთანთქმის მაღალი რისკის ქვეშ მყოფი ბეტონის ელემენტები;
- წყლის შეღწევის შემცირება წყლის ნაგებობებში წყლის მიმოქცევისა და გაშხეფების ზონაში.

უპირატესობები და მახასიათებლები

- ზრდის ბეტონის შეუღწევადობის უნარს, ცემენტის ცომის კაპილარული ფოროვანი სტრუქტურის ზომის, რაოდენობისა და მთლიანობის შემცირებით;
- ზრდის გამძლეობას მაცემენტებელი მასის (ცომის) წყალშეღწევადობის შემცირებით;
- აუმჯობესებს ადვილჩასხმადობას წყლის შემცველობის მომატების გარეშე;
- ამცირებს ბეტონის შეკლებას;
- არ შეიცავს ქლოდირებს ან სხვა ნივთიერებებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კოროზია.

მოხმარების წესები, რჩევები და სიფრთხილის ზომები

- HydroPlast N უნდა დაემატოს ანაზღელის წყალს და უშუალოდ დაემატოს ახლად ჩასხმული ბეტონის ნარევს არევის პროცესში. უშუალოდ ახლად მომზადებულ ნარევზე დამატების შემთხვევაში, საჭიროა დამატებითი დრო არევისთვის. HydroPlast N არ უნდა დაემატოს მშრალ ნარევს.
- იქიდან გამომდინარე, რომ ქიმიური დანამატების დოზაზე დიდ გავლენას ახდენს ცემენტის ტიპი, ბეტონის შემადგენელი ელემენტების თვისებები და ბეტონის ნარევის კომპონენტების შერჩევა, რეკომენდებულია, დანამატების ოპტიმალური დოზის განსაზღვრა მოხდეს საცდელი ანაზღელების საფუძველზე.

- HydroPlast N, როგორც წესი, თავსებადია პორტლანდცემენტის იმ ტიპებთან, რომლებიც აღწერილია EN 197-1-სა და ASTM C150-ში. ამასთან, მისი გამოყენება შეიძლება ბეტონის ნარევებში, რომლებიც შეიცავს ისეთ მინერალურ დანამატებს, როგორიცაა მიკროკაჟმიწა, წანატაცი ნაცარი და ბრძმედის გრანულირებული წიდა. თუმცა, ნარევეში მინერალური დანამატების არსებობა დიდწილად განსაზღვრავს დანამატების საჭირო დოზას კონკრეტული მიზნებისთვის. HydroPlast N-ის ოპტიმალური დოზა უნდა განისაზღვროს საცდელი ანაზელების საფუძველზე.
- არ არის გამოვლენილი სხვა ქიმიურ დანამატებთან შეურევობის შემთხვევები და შესაძლებელია მისი გამოყენება სხვა დანამატებთან იმავე ნარევეში. ერთად გამოყენების დროს, სხვადასხვა ტიპის ქიმიური დანამატები არ უნდა აირიოს ერთმანეთში და გამოყენებული უნდა იქნას ცალ-ცალკე. სუპერპლასტიფიკატორთან ერთად გამოყენებისას, უნდა განისაზღვროს სუპერპლასტიფიკატორის დოზა.

რეკომენდირებული დოზები

HydroPlast N-ის რეკომენდირებული დოზა არის შემკვრელი მასალის (ცემენტი+მინერალური დანამატი) მასის დაახლოებით 0.5 %. ოპტიმალური დოზის განსაზღვრა რეკომენდირებულია საცდელ ანაზელებზე, რომლებშიც შესაძლებელია სიმტკიცის ზრდის და კაპილარული შეწოვის კონტროლი. ჭარბმა დოზამ შეიძლება, მეტისმეტად გაზარდოს ბეტონის შეკვრის დრო და ჰაერის შეჭრა. ასეთ შემთხვევაში ბეტონის ზედაპირი დაცული უნდა იქნას აორთქლებისაგან ზედაპირის სველ მდგომარეობაში შენარჩუნებით.

ტექნიკური მახასიათებლები

ფერი და ფორმა	ყავისფერი – სითხე
ქიმიური ბაზა	მოდულიცირებული ლიგნოსულფონატის ბაზაზე დამზადებული სითხე
სიმკვრივე (კგ/ლტ)	1.05- 1.09 (+20 °C-ზე)
ქლორ-იონის შემცველობა	მაქს 0.1% - ქლორიდის გარეშე EN 934-2-ის მიხედვით
pH	6 - 10
შესაბამისობა	TS EN 934-2 ცხრილი 2